

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები - და 52 დავალებას შეიცავს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



საგნობრივი ცოდნა

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#)
[27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#) [50](#) [51](#) [52](#)

ქართული ენა და ლიტერატურა

1. ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელში გვხვდება რიცხვში მონაცვლე ზმნა?

(ა) უფროსმა სამსახურიდან დაითხოვა თანამშრომელი.

(ბ) იგი მოუთმენლად ელოდა ულუფას.

(გ) ბავშვმა კარი გაუღო სტუმარს.

(დ) გოგონამ წინ გაიგდო თხა.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელში არ არის ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი?

(ა) ტაქსი

(ბ) ავტობუსი

(გ) ფუნქციონორი

(დ) მეტროპოლიტენი

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია დაშვებული შეცდომა?

(ა) მეცხრე კლასად

(ბ) მეცხრე კლასელი

(გ) ცხრაკლასიანი

(დ) ცხრა კლასს

4. მოცემულია ზმნა გადმო-მ-ა-წერ-ინ-ა, რომელშიც გამოყოფილია გრამატიკული კატეგორიების შესაბამისი ნიშნები. მათგან რამდენიმე ხაზგასმულია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი ზმნის ხაზგასმული ნიშნების შესაბამისი გრამატიკული კატეგორიები სწორი თანმიმდევრობით?

(ა) ზმნისწინი, თემის ნიშანი, სავრცობი

(ბ) ფუძე, მწკრივის ნიშანი, ობიექტური პირის ნიშანი

(გ) ზმნისწინი, კონტაქტის ნიშანი, სუბიექტური პირის ნიშანი

(დ) ფუძე, სავრცობი, მწკრივის ნიშანი

5. ქვემოთ მოცემული ნიმუშებიდან რომელში არ არის დაშვებული შეცდომა?

(ა) ლამაზ ქალის

(ბ) ექიმი ქავთარაძის

(გ) რამოდენიმე წიგნის

(დ) თქვენს გადაწყვეტილებას

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია პარაზიტული მეტყველების ნიმუში?

(ა) ნუ, ჯერ მინდა, ესე იგი, მოგესალმოდ!

(ბ) ნიკას უტყდება ნინოსთან მისვლა.

(გ) რამდენი ხანია, რაც ეს კაბა გაყიდვაშია?

(დ) ქეთიმ ეკრანზე გამოსახულ ფოტოზე დააკლიკა.

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში არ არის განკერძოებული სიტყვა/სიტყვები?

(ა) ეს სასახლე თავადს ეკუთვნოდა, მეტად პატივსაცემსა და სახელოვანს.

(ბ) ბიჭუნა, საჩუქრით აღფრთოვანებული, ცრემლებს ვერ იკავებდა.

(გ) გიორგი, სადაც უნდა მისულიყო, ყველგან სასურველი სტუმარი იყო.

(დ) მწყემსი, თავზე ფაფახჩამოფხატული, თვალმოჭუტვით უმზერდა იალაღს.

8. ქვემოთ მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.


„ტყეში სამარისებური სიჩუმე დასადგურებელიყო. ჯოხმომარჯვებული თედო გაოცებული შეცქეროდა ტოტზე ჩამომჯდარ პატარა ნიბლიას, რომელიც, ყინვისა და შიმშილისგან შეწუხებული, ერთთავად ცახცახებდა. ბიჭმა ჯიბიდან ამოიღო საგ ზღაათ წამოღებული გამხმარი პურის ნატეხები და ფრთხილად, ჩიტი რომ არ დაეფრთხო, ფოთლებზე დადო.“

9. დაადგინეთ შესაბამისობა ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებებსა და სურათზე წარმოდგენილ ობიექტებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში მხატვრული ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ სურათის შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ერთი სურათი ზედმეტია).

- (ა) მძინარე მზეთუნახავი
- (ბ) თოვლის დედოფალი
- (გ) პატარა უფლისწული
- (დ) პიტერ პენი



1



2



3



4



5

10. რევაზ ინანიშვილი თავის მოგონებებს ბავშვობაზე ასე ასათაურებს: „თოჯინის თვალით“. მოგონებების ბოლოს დაურთავს: „თუ საშუალება მომეცა, ოდესმე ბავშვობის სხვა მოგონებებზეც დავწერ, ყოველივეს კვლავაც დანახულს თოჯინის თვალით (ის თოჯინა მე ვარ)“... და ასე ასრულებს: „ბავშვობაზე გადიდებული თვალებით და ჩაკირკიტებით წერა მუდმივი მტკიცებაა, მართლა არსებობს სადმე სამოთხე, თუ არა.“

იმსჯელეთ, რას გულისხმობს რევაზ ინანიშვილი სიტყვებში: „ის თოჯინა მე ვარ“.

(მაქსიმალური ქულა – 2)

11. წაკითხეთ ნაწყვეტი ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობიდან „პეპი გრძელწინდა“ და შეასრულეთ დავალებები.

ყოველ დილით ტომი და ანიკა ჩაჰკიდებდნენ ხოლმე ერთმანეთს ხელს და სკოლის გზას გაუდგებოდნენ. სწორედ ამ დროს პეპი ან ცხენით დასეირნობდა ბაღში, ან ბატონ ნილსონს (ასე ეძახდა პეპი თავის მაიმუნს) ეთამაშებოდა. ტომი და ანიკა, პეპის ეზოს რომ ჩაუვლიდნენ, ნაღვლიანად იყურებოდნენ ლობიდან. ბავშვები დარდობდნენ, პეპი რომ სკოლაში არ დადიოდა. გადაწყვიტეს, როგორმე დავითანხმობთ, ჩვენთან ერთად იაროსო.

- იცი, პეპი, რა კარგი ბავშვები არიან ჩვენთან! - უთხრა ანიკამ.
- მხოლოდ ორ საათამდე ვართ სკოლაში?! - დაამატა ტომიმ.
- არდადეგებიცა გვაქვს: საშობაო, სააღდგომო, ზაფხულის,- აჰყვა ძმას ანიკა.

პეპი ჩაფიქრდა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს. მერე უცებ გაბრაზდა:

- ეს რა სამართალია?! არა, ეს დიდი უსამართლობაა და ვერ შევურიგდები! ოთხ თვეში შობა მოვა და შენ და ანიკას საშობაო არდადეგები დაგეწყებათ. მე? ცოდო არა ვარ, რომ არაფერი დამეწყება? - პეპის ცრემლი მოადგა თვალებზე, - ავდგები და ხვალვე წამოვალ სკოლაში!

ტომიმ და ანიკამ სიხარულისგან ტაში შემოჰკრეს.

მეორე დილით პეპიმ გამოიყვანა ცხენი ბაღში, მოახტა ზედ და სკოლისაკენ გააჭენა. პეპი გრიგალივით შევარდა ოთახში:

- გამარჯობა, მგონი, არ დამგვიანებია!

მასწავლებელმა ალერსიანად უთხრა:

- კეთილი იყოს, ჩემო პეპი, შენი მოსვლა სკოლაში.
- იმედი მაქვს, მალე დამეწყება არდადეგები, მთავარია სამართლიანობა!

- კარგი, კარგი, პეპი! ახლა კი ვნახოთ, რა იცი. მოდი, არითმეტიკით დავიწყოთ. აბა, მითხარი, პეპი, რამდენი იქნება, შვიდს რომ ხუთი მივუმატოთ?

პეპიმ მასწავლებელს უკმაყოფილოდ შეხედა.

- მაგხელა ქალმა თუ არ იცი, როგორ ფიქრობ, მე დავთვლი შენ მაგივრად?

მასწავლებელმა კი მშვიდად აუხსნა, მასწავლებელს თქვენობით უნდა მიმართო.

- თუ შეიძლება, მაპატიეთ, - შეკრთა პეპი, - ეგ არ ვიცოდი. აღარ გავიმეორებ!

- მე მჯერა შენი, პეპი, - უთხრა მასწავლებელმა, - ხომ ხედავ, არ გინდოდა ჩემ მაგივრად დათვლა, მე კი სიამოვნებით დავითვლი შენ მაგივრად: შვიდს რომ ხუთი მივუმატოთ, თორმეტი იქნება. მან თავზე ხელი გადაუსვა პეპის და უთხრა, - ცოტა რომ წამოიზრდები, ისევ მოდი სკოლაში.

პეპი სკოლის ეზოში გავარდა და ცხენს შემოახტა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ.

- არგენტინაში რომ სკოლაში დავდიოდი, აი, სკოლა ის იყო! - ბავშვებს გადახედა პეპიმ, - საშობაო არდადეგები რომ მთავრდებოდა, ზუსტად სამი დღის შემდეგ სააღდგომო არდადეგები იწყებოდა. სააღდგომო არდადეგები დამთავრდებოდა და სამი დღის შემდეგ საზაფხულო იწყებოდა. არითმეტიკას სულ არ გადიან. ბავშვებს იქ წიგნებიც კი არ აქვთ...

- მაშ რას აკეთებენ სკოლაში? - განცვიფრებით ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

- სხედან და კანფეტებს აკნაწუნებენ, - სწრაფად მიუგო პეპიმ. - სკოლის ახლოს კანფეტების ფაბრიკაა. იქიდან საგანგებო მილია გამოყვანილი და ფერად-ფერადი კანფეტები ცვივა. ამიტომ ბავშვები სულ პირს აცმაცუნებენ. თქვენ კი თვალეთ, რამდენი იქნება შვიდს რომ ხუთი მივუმატოთ. კარგა ხანს ფეხს არ დავადგამ აქ!

- ეჰე-ჰეი! - დასწყვივლა პეპიმ და ჭიშკარში გაიჭრა. მიქროდა ბედაური, ფლოქვებით ქვებს ისროდა. სკოლის ფანჯრის მინებს კი ზრიალ-ზრიალი გაჰქონდა.

11.1. იმსჯელეთ, პედაგოგის რომელ პიროვნულ თვისებებს გამოკვეთს ავტორი პეპისა და მასწავლებლის დიალოგის მეშვეობით.

(მაქსიმალური ქულა – 2)

11.2. პეპის რომელი თვისება/თვისებები იკვეთება „არიტმეტიკის გაკვეთილის“ ეპიზოდში? პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 2)

11.3. მიუთითეთ ამ ნაწყვეტიდან კომიზმის ერთი ნიმუში და იმსჯელეთ, რატომ იწვევს ღიმილს მკითხველში თქვენ მიერ შერჩეული პასაჟი.

(მაქსიმალური ქულა – 2)

12. წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

ქარით დატირებული

ქარით დატირებული, უნუგემოდ შთენილი,
მიფრინავდა ფოთოლი, ხიდან გადმოცვენილი.
და სტიროდა მიდამო, იძრცვნებოდა ტყეები,
და სცურავდენ, სცურავდენ ღრუბელთ სიშორეები.
შემდეგ თოვლი მოვიდა და, ვით სულს მოტივტივეს,
შევაჩვიე სიცივე ჩემი გულის სიცივეს.
ეხლა... თოვლში ჩაფლული, უნუგემოდ შთენილი,
იყინება ფოთოლი, ველად ჩამოცვენილი...

12.1. როგორც წესი, აბსტრაქტულ არსებით სახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა. ამოიწერეთ ლექსიდან სიტყვა, რომელიც ამ გრამატიკულ წესს არღვევს. განმარტეთ, როგორ არის წარმოქმნილი ეს სიტყვა (მიუთითეთ, რომელი მეტყველების ნაწილის საფუძველზეა ის შექმნილი). *(მაქსიმალური ქულა – 1)*

12.2 ლექსში აღწერილია ბუნების სურათი. ამოიწერეთ ლექსიდან ერთი მეტაფორული სახე და განმარტეთ, რა მიზნით ქმნის მას პოეტი. *(მაქსიმალური ქულა – 2)*

მათემატიკა

13. რატის a თეთრი ჰქონდა. მან 3 რვეული იყიდა, თითოეულში b თეთრი გადაიხადა. რამდენი თეთრი დარჩა რატის?

(ა) $a - 3b$

(ბ) $3a - b$

(გ) $a + 3 - b$

(დ) $a - 3 - b$

14. ოთხმა ძმამ 15 კილოგრამი თხილი თანაბრად გაინაწილა. რამდენი კილოგრამი თხილი შეხვდა თითოეულ მათგანს?

(ა) 3

(ბ) $3\frac{1}{4}$


(გ) $3\frac{1}{2}$

(დ) $3\frac{3}{4}$


15. სანდროს ერთნაირი ხის კუბები ჰქონდა, რამდენიმე მათგანი მან შუაზე გახერხა. ამ ნახევრებისა და მთელი კუბებისაგან სანდრომ სახლისმაგვარი სხეული ააწყო (იხ. ნახაზი), ისე, რომ არაფერი დარჩენია.

სულ რამდენი კუბი ჰქონია სანდროს თავდაპირველად?

- (ა) 15
- (ბ) 14
- (გ) 13
- (დ) 12



16. ვანომ უჯრებში ჩაწერა ნატურალური რიცხვები 1-დან 9-ის ჩათვლით ისე, რომ სტრიქონისა და სვეტის გადაკვეთაზე ეწერა რიცხვი 5 (იხ. ნახაზი). სვეტის უჯრებში ჩაწერილ რიცხვთა ჯამი 20-ის ტოლია. რის ტოლია სტრიქონის უჯრებში ჩაწერილ რიცხვთა ჯამი?



- (ა) 15-ის
- (ბ) 20-ის
- (გ) 25-ის
- (დ) 30-ის

17. ნიკა ველოსიპედით შეუსვენებლად 40 წთ-ის განმავლობაში მოძრაობდა. მისი სიჩქარე 18 კმ/სთ-ის ტოლი იყო. რამდენი კილომეტრი გაუვლია ნიკას?

(ა) 10

(ბ) 12

(გ) 14

(დ) 15

18. ხუთი ქალაქი A, B, C, D და E ერთმანეთთან დაკავშირებულია სარკინიგზო მაგისტრალებით:

- A ქალაქი ოთხი სარკინიგზო მაგისტრალითაა დაკავშირებული დანარჩენ ქალაქებთან – თითო ქალაქთან თითო მაგისტრალით.
- B ქალაქი, გარდა იმ სარკინიგზო მაგისტრალისა, რომლითაც ის A ქალაქთანაა დაკავშირებული, კიდევ უკავშირდება C და D ქალაქებს – თითო მაგისტრალით თითო ქალაქს.
- E ქალაქი, გარდა იმ სარკინიგზო მაგისტრალისა, რომლითაც ის A ქალაქთანაა დაკავშირებული, კიდევ უკავშირდება ერთი მაგისტრალით C ქალაქს.

D ქალაქიდან E ქალაქში მატარებლით მისასვლელად, ოღონდ ისე, რომ ერთ ქალაქში ორჯერ არ მოგვიწიოს ყოფნა, უნდა ვისარგებლოთ მაქსიმუმ:

- (ა) სამი სარკინიგზო მაგისტრალით
- (ბ) ოთხი სარკინიგზო მაგისტრალით
- (გ) ხუთი სარკინიგზო მაგისტრალით
- (დ) ექვსი სარკინიგზო მაგისტრალით

19. მართკუთხედის სიგრძე 4-ჯერ მეტია სიგანეზე. რამდენჯერ მეტია მართკუთხედის პერიმეტრი მართკუთხედის სიგანეზე?

(ა) 4-ჯერ

(ბ) 6-ჯერ


(გ) 8-ჯერ

(დ) 10-ჯერ

მონაცემთა ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები დიაგრამის სახით. მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამის მიხედვით.

დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია, თუ რამდენი ბოთლი თეთრი და რამდენი ბოთლი წითელი ღვინო იყიდებოდა ყოველთვიურად ზღვისპირა ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში საკურორტო სეზონის განმავლობაში.



შეკითხვებზე გადასვლა: [20](#) [21](#)

20. რამდენი ბოთლი თეთრი ღვინო იყიდებოდა საშუალოდ ერთ თვეში საკურორტო სეზონის განმავლობაში?

(ა) 150

(ბ) 200

(გ) 250

(დ) 300

[დიაგრამის ნახვა](#)

21. რამდენი პროცენტით მეტი წითელი ღვინო გაყიდულა აგვისტოში ივლისთან შედარებით?

(ა) 25%-ით

(ბ) 50%-ით

(გ) 75%-ით

(დ) 100%-ით

[დიაგრამის ნახვა](#)

22. თუ დღეს სამშაბათია, 11 იანვარი, მაშინ 27 დღის წინ იყო:

(ა) ოთხშაბათი, 15 დეკემბერი

(ბ) ოთხშაბათი, 16 დეკემბერი

(გ) სამშაბათი, 15 დეკემბერი

(დ) სამშაბათი, 16 დეკემბერი

23. m -ით აღვნიშნოთ 12-ის, 24-ისა და 42-ის უდიდესი საერთო გამყოფი, n -ით კი – 14-ის, 21-ისა და 12-ის უმცირესი საერთო ჯერადი. ქვემოთ მოცემული თანაფარდობებიდან რომელია მართებული?

(ა) $m = n : 10$

(ბ) $n = 12 \cdot m$

(გ) $m : n = 1 : 14$

(დ) $m = 2 \cdot n$

24. შემდეგი წინადადებებიდან რომელია მცდარი?

- (ა) ყოველი ოთხკუთხედი შეიძლება დავყოთ ორ სამკუთხედად.
- (ბ) ყოველი სამკუთხედი შეიძლება დავყოთ ორ სამკუთხედად.
- (გ) ყოველი სამკუთხედი შეიძლება დავყოთ ორ ოთხკუთხედად.
- (დ) ყოველი ხუთკუთხედი შეიძლება დავყოთ ორ მართკუთხედად.

25. ერთმანეთისგან განსხვავებული ციფრებით ჩაწერილი სამნიშნა რიცხვებიდან უდიდესისა და უმცირესის სხვაობა ტოლია:

(ა) 867-ის

(ბ) 885-ის

(გ) 899-ის

(დ) 975-ის

26. მოცემულია წინადადებათა წყვილები:

I. თუ ნატურალური რიცხვი არ იყოფა 3-ზე, მაშინ ის არც 6-ზე იყოფა.

ნატურალური რიცხვი 6-ზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იყოფა, თუ ის იყოფა 3-ზე.

II. არც ერთი ნატურალური რიცხვი არ არის ერთზე ნაკლები.

ერთზე ნაკლები რიცხვი არ არსებობს.

III. თუ ნატურალური რიცხვი მარტივი არ არის, მაშინ ის ლუწია.

თუ მარტივი რიცხვი 2-ზე მეტია, მაშინ ის ლუწი არ არის.

IV. არ არის მართალი, რომ რიცხვი 4 არ არის ლუწი რიცხვი.

ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ რიცხვი 4 ლუწი რიცხვია.

რომელი წყვილი შედგება ერთი და იმავე შინაარსის მქონე (ტოლფასი) წინადადებებისგან?

(ა) I

(ბ) II

(გ) III

(დ) IV

27. ერთ ქილაში 3-ჯერ მეტი თაფლია, ვიდრე მეორეში. თუ პირველი ქილიდან მეორეში გადმოვასხამთ 0,4 კგ თაფლს, მაშინ ორივე ქილაში თაფლის რაოდენობა გათანაბრდება. სულ რამდენი კილოგრამი თაფლია ორივე ქილაში ერთად?

- (ა) 1,2
- (ბ) 1,4
- (გ) 1,6
- (დ) 1,8

28. რიცხვი 10 შეიძლება წარმოვადგინოთ ორი ლუწი დადებითი რიცხვის ჯამის სახით ოთხნაირად:

$$10 = 2 + 8 = 4 + 6 = 6 + 4 = 8 + 2$$

რამდენნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ ორი ლუწი დადებითი რიცხვის ჯამის სახით რიცხვი 50?

(ა) 22

(ბ) 23

(გ) 24

(დ) 25

29. გასათიბი იყო მართკუთხედის ფორმის მინდორი. მას შემდეგ, რაც მთიბავმა 2 საათის განმავლობაში იმუშავა, გასათიბი დარჩა მინდვრის ნაწილი, რომელსაც ასევე მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და რომლის სიგრძე 3-ჯერ ნაკლები იყო მინდვრის სიგრძეზე, ხოლო სიგანე – 2-ჯერ ნაკლები მინდვრის სიგანეზე. რამდენი წუთია საჭირო მინდვრის დარჩენილი ნაწილის გასათიბად, თუ მთიბავი იმავე ტემპით გააგრძელებს მუშაობას?

პასუხი დაასაბუთეთ.


(მაქსიმალური ქულა – 3)

30. მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) შეასრულეთ მოქმედებები: I. $254 - 62 - 12$ II. $342 - 57 + 104 - 13$
 III. $14 \cdot 18 : 9$ IV. $72 \cdot 15 : 12 : 2$

2) ავტობუსში რამდენიმე მგზავრი იყო. პირველ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავიდა 5 მგზავრი, ამოვიდა 3 მგზავრი. მეორე გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავიდა 7 მგზავრი, ამოვიდა 12 მგზავრი, ხოლო მესამე გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავიდა 6 მგზავრი, ამოვიდა 8 მგზავრი. ამის შემდეგ ავტობუსში 15 მგზავრი დარჩა. რამდენი მგზავრი ყოფილა ავტობუსში თავდაპირველად?

3) მართკუთხედიდან, რომლის სიგრძეა 10 სმ, სიგანე – 6 სმ, ჩამოჭრილია კვადრატი, რომლის სიგრძეა 3 სმ (იხ. ნახაზი). რის ტოლია კვადრატის ჩამოჭრის შედეგად მიღებული გამუქებული ექვსკუთხედის პერიმეტრი?



მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $254 - 62 - 12 = 254 - 50 = 204$

II. $342 - 57 + 104 - 13 = 446 - 70 = 336$

III. $14 \cdot 18 : 9 = 14 \cdot 2 = 28$

IV. $72 \cdot 15 : 12 : 2 = 1080 : 6 = 180$

2) ამოვიდა $3 + 12 + 8 = 23$, ჩავიდა $5 + 7 + 6 = 18$,

$23 - 18 = 5$. ავტობუსში იყო $15 + 5 = 20$ მგზავრი.

3) $6 + 10 + 6 + 10 = 32$, $4 \cdot 3 = 12$, ექვსკუთხედის პერიმეტრია $32 - 12 = 20$ სმ.

მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი.


(მაქსიმალური ქულა – 3)

ბუნებისმეტყველება

31. რომელი აბიოტური ფაქტორი არეგულირებს ცოცხალ ბუნებაში სეზონურ ცვლილებებს (მცენარეების ყვავილობას, ფრინველების მიგრაციას, ზამთრის ძილს ძუძუმწოვრებში და ა.შ)?

- (ა) ჰაერის შემაღეწლობა
- (ბ) დღის ხანგრძლივობა
- (გ) ტემპერატურა
- (დ) ტენიანობა

32. ილუსტრაციაზე მოცემული მცენარეებიდან რომელი ბინადრობს თბილსა და ტენიან გარემოში?




(ა) მხოლოდ A

(ბ) მხოლოდ B და D

(გ) მხოლოდ A და C

(დ) A, C და D

33. ილუსტრაციაზე მოცემულია ცხოველთა ორი მწკრივი. რომელი ნიშნით არიან დაჯგუფებული ცხოველები თითოეულ მწკრივში?




(ა) სუნთქვის ტიპით

(ბ) კვების ტიპით

(გ) გამრავლების თავისებურებით


(დ) სხეულის მოძრაობის თავისებურებით

34. რომელი ციფრებით აღნიშნულ ორგანიზმებს ახასიათებთ შინაგანი განაყოფიერება და გარეგანი განვითარება?



- (ა) 1 და 3
- (ბ) 1 და 4
- (გ) 2 და 3
- (დ) 3 და 4

35. ილუსტრაციაზე მოცემულია წყალში ბინადარი ხერხემლიანი ცხოველები. მათგან რომელი სუნთქავს წყალში არსებული ჟანგბადით?



- (ა) A
- (ბ) B
- (გ) C
- (დ) D



36. ქვემოთ მოცემული საგნებიდან რომელს მიიზიდავს მაგნიტი ყველაზე ადვილად?

- (ა) 1 გ მასის ვერცხლის რგოლს.
- (ბ) 2 გ მასის სპილენძის რგოლს.
- (გ) 3 გ მასის ალუმინის ლურსმანს.
- (დ) 4 გ მასის რკინის ლურსმანს.

37. საყინულეში წყლით სავსე მინის ქილის შედგმა არ შეიძლება, რადგან წყლის გაყინვისას ქილა გატყდება.
რა არის ამის მიზეზი?


- (ა) წყალი უფრო სწრაფად ცივდება, ვიდრე მინა.
- (ბ) წყალი უფრო გვიან ცივდება, ვიდრე მინა.
- (გ) წყალი გაყინვისას ფართოვდება.
- (დ) წყალი გაყინვისას იკუმშება.

38. რომელი შეესაბამება ფერნანდო მაგელანის მოგზაურობის მარშრუტს?



- (ა) A
- (ბ) B
- (გ) C
- (დ) D

39. მოცემული ილუსტრაციის მიხედვით განსაზღვრეთ, წელიწადის რა დრო იქნება საქართველოში?




- (ა) ზამთარი
- (ბ) გაზაფხული
- (გ) ზაფხული
- (დ) შემოდგომა

40. რომელი სტიქიური მოვლენის საზომი ერთეულია მაგნიტუდა?

- (ა) მეწყერის
- (ბ) თოვლის ზვავის
- (გ) ვულკანის ამოფრქვევის
- (დ) მიწისძვრის

41. რის ტოლია მანძილი A და B დასვენების პარკებს შორის, თუ ქალაქის გეგმაზე მათ შორის მანძილი 8 სმ-ია?



- (ა) 2,8 კმ
- (ბ) 3,5 კმ
- (გ) 4,3 კმ
- (დ) 8,0 კმ

42. ქვემოთ ჩამოთვლილი დაცული ტერიტორიებიდან რომელში/რომლებში წაიყვანდით მოსწავლეებს გადამფრენ ფრინველთა მრავალფეროვნებაზე დასაკვირვებლად?

I. კოლხეთის

II. ვაშლოვანის

III. ჯავახეთის

(ა) I-სა და II-ში

(ბ) მხოლოდ II-ში

(გ) I-სა და III-ში

(დ) მხოლოდ III-ში

43. დაადგინეთ შესაბამისობა ილუსტრაციებსა და გეოგრაფიულ ობიექტებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ილუსტრაციის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ გეოგრაფიული ობიექტის ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ორი პასუხი ზედმეტია):

ილუსტრაცია	
<div data-bbox="84 301 168 372" style="border: 1px solid black; padding: 2px; display: inline-block;">ა</div> 	<div data-bbox="1251 301 1335 372" style="border: 1px solid black; padding: 2px; display: inline-block;">ბ</div> 
<div data-bbox="84 682 168 753" style="border: 1px solid black; padding: 2px; display: inline-block;">გ</div> 	<div data-bbox="1251 682 1335 753" style="border: 1px solid black; padding: 2px; display: inline-block;">დ</div> 

გეოგრაფიული ობიექტები					
1	2	3	4	5	6
ბარის მდინარე	მთის მდინარე	პიკი	ბორცვი	აისბერგი	მყინვარი

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#)
[27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#) [50](#) [51](#) [52](#)

44. მცენარის ღერო მოლუნეს და ფოთოლი მოათავსეს კოლბაში. კოლბის ყელს გაუკეთეს ბამბის საცობი ისე, რომ მცენარე არ დაზიანებულა (იხ. სურათი). რამდენიმე ხნის შემდეგ კოლბის კედელი დაიორთქლა და წყლის წვეთებით დაიფარა.

- ახსენით, რატომ დაიორთქლა კოლბის კედელი.
- რა მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის ამ პროცესს?

(მაქსიმალური ქულა – 2)



აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

რატომ იქცევა ბავშვი აგრესიულად? ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, აგრესიული ქცევის გამოვლენის ალბათობა იზრდება მაშინ, როცა ბავშვებს არ ეძლევათ საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალება. კვლევისას ექსპერიმენტის მონაწილე ბავშვები ორ ჯგუფად შეიყვანეს სათამაშოებით სავსე ოთახში. პირველ ჯგუფს საშუალება ჰქონდა, მაშინვე დაეწყო თამაში, ხოლო მეორე ჯგუფი მინის ბარიერის მიღმა იდგა და სათამაშოებს შორიდან აკვირდებოდა. მეორე ჯგუფის ბავშვებს თამაშის უფლება დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მისცეს. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფისგან განსხვავებით, მეორე ჯგუფის ბავშვების უმეტესობამ სათამაშოების მიმართ აგრესია გამოავლინა. ისინი ამტკრევდნენ და ისროდნენ სათამაშოებს. საინტერესოა, რატომ პასუხობს ზოგიერთი ბავშვი იმედგაცრუებას, წინააღმდეგობას აგრესიით, ზოგი კი – არა? რატომ იქცევა ბავშვი აგრესიულად მაშინაც, როცა იმედგაცრუებული არ არის? ზემოთ აღნიშნულმა თეორიამ ვერ შეძლო პასუხის გაცემა ამ შეკითხვებზე, თუმცა, შექმნა საფუძველი აგრესიის მიზეზების შესახებ სხვა კვლევების ჩასატარებლად.

შემდგომ კვლევებში აგრესიული ქცევის ახსნისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დაკვირვებასა და მიბაძვას, ბავშვის მიერ სიტუაციის აღქმას, შეფასებას. მაგალითად, თუ ბავშვი ხედავს, რომ მისმა თანატოლმა სასურველ მიზანს აგრესიული ქცევით მიაღწია, ისიც ეცდება, იგივე გაიმეოროს. ალბერტ ბანდურას ცნობილ ექსპერიმენტში ბავშვების სამ ჯგუფს აჩვენეს ფილმი სხვადასხვა დასასრულით. ფილმში ბავშვი გამეტებით ურტყამდა თოჯინას. ერთმა ჯგუფმა ნახა, რომ ბავშვი ამ აგრესიისთვის დააჯილდოვეს, მეორე ჯგუფმა ნახა, რომ ბავშვი აგრესიისთვის დასაჯეს, მესამე ვერსიაში კი აგრესიულ ქცევას შედეგი არ მოჰყოლია – ანუ ბავშვს არც სჯიდნენ და არც აჯილდოვებდნენ. ფილმის ნახვის შემდეგ

შეკითხვებზე გადასვლა: [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#)

ბავშვები გადაიყვანეს მეორე ოთახში, სადაც მათ ასეთივე თოჯინა დახვდათ. აღმოჩნდა, რომ თოჯინის მიმართ აგრესიული ქცევა გამოავლინა ყველა ჯგუფის ბავშვმა, თუმცა, ყველაზე მეტად გამოავლინეს იმათ, ვინც ნახა, რომ თოჯინის ცემისთვის ბავშვი დაჯილდოვდა, ხოლო ყველაზე ნაკლებად მათ, ვინც ნახა, რომ თავდასხმისთვის ბავშვი დაისაჯა.

აგრესიული ქცევის მიზეზების ძიებისას მკვლევრები ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებებითაც დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ ბავშვებს, რომლებიც თანატოლებთან შედარებით უფრო ხშირად ავლენენ აგრესიას, სოციალური ინფორმაციის გადამუშავების სირთულეები აღენიშნებათ. შესაძლებელია, აგრესიულმა ბავშვმა სრულიად ნეიტრალური, უწყინარი სოციალური მინიშნება შეაფასოს, როგორც მის მიმართ მტრული (მაგალითად, თანატოლის სიცილი შეიძლება დაცინვად აღიქვას). ამ ბავშვებს გარემო მათდამი მტრულად განწყობილი ჰგონიათ, მტრულ განწყობას სხვებს მიაწერენ და სამაგიერო აგრესიით პასუხობენ. შედეგად, აგრესიულ ბავშვებს უძნელდებათ თანატოლებთან ურთიერთობა და, არცთუ ისე იშვიათად, გარიყულები არიან თანატოლთა წრიდან. ამის გამო მათი სოციალური გამოცდილება შეზღუდულია, რაც სოციალურად მისაღები ახალი ქცევების ათვისებას აფერხებს. შესაბამისად, აგრესიულ ბავშვებს ურთიერთობის პრობლემების ალტერნატიული გადაწყვეტის ჩვევები ნაკლებად აქვთ განვითარებული, ამიტომ ისინი აგრესიული ქცევის ამა თუ იმ ფორმას მიმართავენ. აგრესიული ქცევით სასურველის მიღწევის გამოცდილება კი, თავის მხრივ, აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას ქცევის ამ ფორმის სასარგებლოდ.

შეკითხვებზე გადასვლა: [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#)

45. ქვემოთ მოცემულია დებულებები პირველი აზნაცის სტრუქტურის შესახებ. მათგან რომელია მართებული?

- (ა) აზნაცის დასაწყისში დასმულია შეკითხვა, რომელზეც იქვე წარმოდგენილი საილუსტრაციო ექსპერიმენტით გაცემულია ამომწურავი პასუხი. აზნაცის ბოლოს დასმული შეკითხვები კი ეჭვქვეშ აყენებს ამ ექსპერიმენტის შედეგების სანდოობას.
- (ბ) წარმოდგენილია ერთ-ერთი თეორია და მისი საილუსტრაციო ექსპერიმენტი, რომელმაც ნაწილობრივ გასცა პასუხი აზნაცის დასაწყისში დასმულ შეკითხვას. აზნაცის ბოლოს კი დასმულია აგრესიის ახსნის ახალი თეორიებისთვის ბიძგის მიმცემი შეკითხვები.
- (გ) განხილულია ერთ-ერთი თეორია და მისი საილუსტრაციო ექსპერიმენტი, რომელმაც პასუხი ვერ გასცა აზნაცის დასაწყისში დასმულ შეკითხვას. აზნაცის ბოლოს დასმული შეკითხვები კი აგრესიის ნამდვილი მიზეზების შესახებ გვაფიქრებს.
- (დ) წარმოდგენილია ექსპერიმენტი, რომელიც აგრესიის მიზეზების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას და, შესაბამისად, ეხმიანება აზნაცის დასაწყისში დასმულ შეკითხვას. თუმცა, აზნაცის ბოლოს წამოჭრილი შეკითხვები რადიკალურად ცვლის კვლევის მიზანს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

46. პირველ აზნაცში აღწერილ ექსპერიმენტში მეორე ჯგუფის ბავშვები დიდხანს ალოდინეს, სანამ თამაშის უფლებას მისცემდნენ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს ყველაზე ზუსტად, თუ რა იყო ამის მიზანი?

- (ა) ბავშვების თამაშის პროცესზე მოგვიანებით დაკვირვება.
- (ბ) მეორე ჯგუფის ბავშვების ემოციათა მართვის უნარის შეფასება.
- (გ) მათში სასურველის მიუღწევლობით განპირობებული ემოციური მდგომარეობის გამოწვევა.
- (დ) ბავშვების ორი ჯგუფის თამაშის თავისებურებების ურთიერთშედარება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

47. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს მეორე აბზაცში წარმოდგენილი ექსპერიმენტის შედეგი (თოჯინის მიმართ აგრესიული ქცევა ყველაზე მეტად გამოავლინეს იმ ჯგუფის ბავშვებმა, რომლებმაც ნახეს, რომ თოჯინის ცემისთვის ბავშვი დაჯილდოვდა)?

აგრესიული ქცევის დასწავლისას მნიშვნელოვანია:

- (ა) ბავშვის მიერ სიტუაციის შეფასება – გააზრება იმისა, მოჰყვება თუ არა სასურველი შედეგი აგრესიულ ქცევას.
- (ბ) თანატოლთა ქცევაზე დაკვირვებისა და მსგავს სიტუაციაში იმავე ქცევის გამეორების შესაძლებლობა.
- (გ) აგრესიის ობიექტისგან (ამ შემთხვევაში თოჯინისგან) არ იყოს მოსალოდნელი საპასუხო აგრესია.
- (დ) აგრესიის ობიექტი (ამ შემთხვევაში თოჯინა) იყოს უცვლელი – ბავშვი იმის მიმართ ავლენს აგრესიას, ვის მიმართაც აგრესიას იჩენენ სხვები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

48. II აზნაცის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აგრესიის შესამცირებლად ბავშვის ფიზიკური დასჯა:

- (ა) ადეკვატური მეთოდია, რადგან დასჯა, ზოგადად, ამცირებს იმის ალბათობას, რომ ბავშვი მომავალში გაიმეორებს იმ ქცევას, რომლისთვისაც დაისაჯა.
- (ბ) არ არის ადეკვატური მეთოდი, რადგან ფიზიკური დასჯით ბავშვს ვთავაზობთ აგრესიული ქცევის მაგალითს, რომელსაც მან შესაძლოა შემდგომში მიბაძოს.
- (გ) ადეკვატური მეთოდია, რადგან ექსპერიმენტში მონაწილე სამივე ჯგუფის ბავშვებმა დაისწავლეს აგრესიული ქცევა მიბაძვის გზით.
- (დ) არ არის ადეკვატური მეთოდი, რადგან ფიზიკური დასჯა მხოლოდ დროებით თრგუნავს აგრესიულ ქცევას, შესაბამისად, მისი ეფექტი სტაბილური ვერ იქნება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

49. რა მიმართებაა პირველ და მეორე აზნაცებში წარმოდგენილ ექსპერიმენტებს შორის?

- (ა) ორივე ექსპერიმენტის მიზანი აგრესიის მიზეზების გარკვევა იყო, თუმცა, მხოლოდ მეორე ექსპერიმენტი აღმოჩნდა წარმატებული.
- (ბ) პირველი ექსპერიმენტის შედეგებმა დაადასტურა ჰიპოთეზა აგრესიის მიზეზის შესახებ, მეორის შემთხვევაში კი ჰიპოთეზა არ დადასტურდა.
- (გ) ორივე ექსპერიმენტში მსგავსი გზით სცადეს აგრესიის გამოწვევა, თუმცა, განსხვავებული შედეგები მიიღეს.
- (დ) ორივე ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა აგრესიის მიზეზების გარკვევას, თუმცა, სხვადასხვა თეორიული მიდგომის ფარგლებში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

50. ქვემოთ მოცემულ თითოეულ პასუხში წარმოდგენილია თანატოლებისგან აგრესიული ქცევით გამორჩეული ბავშვების ორი მახასიათებელი. რომელ პასუხში არ არის მოცემული მახასიათებლებს შორის მიზეზშედეგობრივი მიმართება (I. მიზეზი, II. შედეგი)?

- (ა) I. აღენიშნებათ სოციალური ინფორმაციის გადამუშავების სირთულეები; II. გარშემო მყოფების სოციალურ მინიშნებებს არასწორად აფასებენ.
- (ბ) I. გარიყულნი არიან თანატოლთა წრიდან; II. არ აქვთ ახალი, სოციალურად მისაღები ქცევის ფორმების ათვისების შესაძლებლობა.
- (გ) I. გარემო მათდამი მტრულად განწყობილი ჰგონიათ; II. აქვთ აგრესიული ქცევით სასურველის მიღწევის გამოცდილება.
- (დ) I. ნაკლებად აქვთ განვითარებული ურთიერთობის არააგრესიული გზით მოგვარების ჩვევები; II. უძნელდებათ თანატოლებთან ურთიერთობა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

51. ტექსტის ბოლო წინადადების საფუძველზე უნდა დავასკვნათ:

- (ა) თუ ჩვენი მიზანია, შევამციროთ ბავშვის აგრესია, არ უნდა მივცეთ მას ქცევის ამ ფორმის მეშვეობით სასურველი შედეგის მიღწევის საშუალება.
- (ბ) რაც უფრო ხშირად აღწევს ბავშვი აგრესიული ქცევით სასურველ მიზანს, მით უფრო მეტადაა დარწმუნებული საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში.
- (გ) რაც უფრო ხშირად მიმართავს ბავშვი აგრესიულ ქცევას, მით უფრო ხშირად აღწევს სასურველ მიზანს.
- (დ) თუ ჩვენი მიზანია, შევამციროთ ბავშვის აგრესია, გარშემო მყოფებმა მეტი კეთილგანწყობა უნდა გამოავლინონ მის მიმართ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

52. ანალიტიკური წერა

1978 წელს ასტრიდ ლინდგრენს „მშვიდობის პრემია“ გადასცეს. მწერალმა წარმოთქვა სიტყვა. გთავაზობთ ასტრიდ ლინდგრენის სიტყვიდან რამდენიმე ამონარიდს:

„კაცობრიობა თავისი არსებობის დღიდან იბრძვის და ომობს. იქნებ ვკითხოთ საკუთარ თავს, თავად ხომ არ ვაკეთებთ ყოველდღე ისეთ რამეს, რასაც მუდმივი კონფლიქტებისკენ მივყავართ?“

...ერთხელ ერთი პასტორის მეუღლემ მითხრა, შვილი რომ შემეძინა, ცემის სიკეთისა არ მჯეროდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს დასჯის მიზნით ბავშვების „გაროზგვა“ გავრცელებული მეთოდი იყო. მაგრამ მერე, როცა ბავშვი 4 თუ 5 წლის გამხდარა, რაღაც ისეთი ჩაუდენია, რომ პასტორის ცოლს შვილის „გაროზგვა“ გადაუწყვეტია. ბავშვი თავად გაუშვია ეზოში წკეპლის მოსატანად. დაგვიანებით დაბრუნებულ აცრემლებულ ბიჭს დედისთვის ქვა მიუწოდებია და უთქვამს: „წკეპლა ვერ ვიპოვე, და შეგიძლია ეს ქვა მესროლოო“. დედას ბიჭის მოტანილი ქვა სამზარეულოს თაროზე შემოუდია, როგორც მუდმივი შეხსენება იმისა, რომ ძალადობა გამოსავალი არ არის.

... თუკი ბავშვების დასჯას შევწყვეტთ, მოვეფერებით და გულში ჩავიკრავთ, ყველა ერთბაშად გაკეთილშობილდება? ყველა ომი შეწყდება? რა თქმა უნდა, არა. ამგვარი უტოპიისა მხოლოდ საბავშვო მწერლებს შეიძლება სჯეროდეთ.

... არც ერთ ჩვენგანს არ აწყენდა ქვა სამზარეულოს თაროზე!“

იმსჯელეთ:

- როგორ რეაგირებს საზოგადოება (ოჯახი, სკოლა, თემი...) ბავშვის მიერ გამოვლენილ არასასურველ ქცევაზე; რა შედეგები მოჰყვება რეაგირების ამა თუ იმ ფორმას;
- როგორი უნდა იყოს საზოგადოების რეაქცია ბავშვის არასასურველ ქცევაზე.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები. თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

(მაქსიმალური ქულა – 11)